

ახმეტის მუნიციპალიტეტის საკრებულოს  
ბიუროს სხდომა  
ოქმი № 17

ქ. ახმეტა

28 ივნისი, 2017 წელი

თავმჯდომარეობდა:

თამარ ყვინიშვილი - ახმეტის მუნიციპალიტეტის  
საკრებულოს თავმჯდომარე.

ბიუროს სხდომას ესწრებოდა:

თ. წითელაური, რ. ბაღაკაშვილი, ბ. ჭიჭიკლიშვილი,  
ნ. აბალოძე, გ. ქიტესაშვილი, ზ. გარსევანიძე,  
ც. გრძელივანიშვილი, თ. ბოდაგელი, გ. მაისურაძე.

სხდომა გაიხსნა 11<sup>00</sup>საათზე.

ბიუროს სხდომის თავმჯდომარემ თამარ ყვინიშვილმა გახსნა სხდომა და დამსწრე პირებს  
გააცნო დღის წესრიგი.

## დღის წესრიგი

1. „ახმეტის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სივრცით - ტერიტორიული დაგეგმარების, ინფრასტრუქტურისა და ბუნებრივი რესურსების კომისიის პერსონალური შემადგენლობის დამტკიცების შესახებ“ ახმეტის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 10 ნოემბრის №87 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე;

/მომხსენებელი - ზურაბ გარსევანიძე/

2. „ახმეტის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სოციალური, კულტურის, განათლებისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიის პერსონალური შემადგენლობის დამტკიცების შესახებ“ ახმეტის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 20 აპრილის №22 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე;

/მომხსენებელი - ზურაბ გარსევანიძე/

ბიუროს სხდომის თავმჯდომარემ კენჭი უყარა დღის წესრიგს, რასაც ერთხმად დაუჭირეს მხარი.

მოისმინეს: „ახმეტის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სივრცით - ტერიტორიული დაგეგმარების, ინფრასტრუქტურისა და ბუნებრივი რესურსების კომისიის პერსონალური შემადგენლობის დამტკიცების შესახებ“ ახმეტის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 10 ნოემბრის №87 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე;

მომხსენებელმა ბიუროს წევრებს გააცნო საკითხი და აღნიშნა, რომ კომისიის შემადგენლობაში ცვლილება გამოწვეულია კომისიის თავმჯდომარის, დავით მურთაზაშვილის გარდაცვალების გამო.

სხდომის თავმჯდომარემ კენჭი უყარა დღის წესრიგს, რასაც ერთხმად დაუჭირეს მხარი.

მოისმინეს: „ახმეტის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სოციალური, კულტურის, განათლებისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიის პერსონალური შემადგენლობის დამტკიცების შესახებ“ ახმეტის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 20 აპრილის №22 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე;

მომხსენებელმა ბიუროს წევრებს განუმარტა, რომ ახმეტის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სოციალური, კულტურის, განათლებისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიის პერსონალურ შემადგენლობაში ცვლილება განპირობებულია წევრის ნაზო აბალოძის კომისიიდან გამოსვლით.

ბიუროს სხდომის თავმჯდომარემ კენჭი უყარა საკითხის მიღებას, რასაც ერთხმად დაუჭირეს მხარი.

საკითხის შესახებ შეკითხვები არ ყოფილა.

ბიუროს სხდომა დაიხურა 11<sup>20</sup> საათზე.

საკრებულოს თავმჯდომარე:



თამარ ყვინიშვილი